



საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია 2010 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე	Міжнародна місія спостереження Вибори Президента України 2010 року
--	---

ბთებერვალი, 2010წ.

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები

არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის (ENEMO)

არჩევნების დღის მიგნებები

წინასწარი ანგარიში

არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპულმა ქსელმა (ENEMO) მიაღწინა 450 მოკლე ვადიანი დამკვირვებელი 2010 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის, არჩევნების დღის ყველა პროცესის დასაკვირვებლად, მათ შორის საარჩევნო უბნების გახსნის, ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შედეგების დადგენის პროცესებზე, როგორც საუბნო ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე. საერთო ჯამში ENEMO-ს დამკვირვებლებმა მონიტორინგი განახორციელეს 204 საარჩევნო უბნის გახსნაზე, ხმის მიცემის პროცედურებზე 2 157 საარჩევნო უბანზე და ხმების დათვლის პროცესზე - 200 საარჩევნო უბანზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ENEMO-ს 8 მოკლევადიანი დამკვირვებელი არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესს აკვირდებოდა უკრაინის საელჩოებსა და საკონსულოებში რუსეთში (მოსკოვი, სანქტ პეტერბურგი, როსტოვი და ვლადივასტოკი), მოლდავეთის რესპუბლიკაში (ბელტსი, კიშინოვი) და ბელორუსიაში (მინსკი, ბრესტი).

თებერვლის მეორე საარჩევნო ტურის განმავლობაში, გაუმჯობესებული პროცესები 2004 საარჩევნო უბანზე, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ENEMO-ს მიერ, კვლავ გრძელდებოდა. ზოგადად, მეორე ტურის საარჩევნო გარემო თავისუფალი იყო რომელიმე კანდიდატის მხრიდან

ზეწოლისაგან, დაშინების და ძალადობისაგან. ამასთან, არ დაფიქსირებულა არც ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების ფაქტები, ENEMO-ს დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ამომრჩევლებზე და დამკვირვებლებზე ზეწოლის მხოლოდ ცალკეული ფაქტები. მაშინ როდესაც არჩევნების მეორე ტური მიმდინარეობდა ყოველგვარი დარღვევებისა და სისტემატიური გაყალბების გარშე, და გაცილებით გაუმჯობესებულად გამოიყურებოდა პირველ საარჩევნო ტურთან შედარებით, ENEMO-ს დამკვირვებლებმა დააფიქსირეს გაგრძელებული პროცედურული და ორგანიზაციული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდა საარჩევნო კომისიების მუშაობას, რაც იწვევდა კანონმდებლობის არათანაბარ გავლენას სხვადასხვა ოლქებში. კერძოდ, ENEMO-ს დამკვირვებლებმა არჩევნების დღეს დააფიქსირეს მნიშვნელოვანი განსხვავებები ამომრჩეველთა სიების განახლებაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასევე, გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებით საარჩევნო კანონმდებლობის არათანაბარი ზეგავლენა. გარდა ამისა, ENEMO-ს მიერ დაფიქსირებულ იქნა ხმების მოსყიდვისა და ხმების გაყალბების მცდელობებიც. ENEMO მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, დეტალურად იქნას გამოძიებული მსგავსი შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტურის დროს ENEMO-ს დამკვირვებელთა რაოდენობა, რომლებიც არ დაუშვეს საარჩევნო უბნებზე შემცირდა, მაინც დაფიქსირდა შემთხვევები როდესაც მისიის დამკვირვებლები არ დაუშვეს ბიულეტენების დათვლისა და შედეგების დადგენის პროცესებზე საოლქო საარჩევნო კომისიებში.

მეორე ტურის განმავლობაში ცენტრალური საარჩევნო კომისია აგრძელებდა სამართლიანად მუშაობას, თუმცა, მაინც ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება დახურულ კარს მიღმა, სადაც არ დაიშვებოდნენ დამკვირვებლები.

საარჩევნო უბნების გახსნა

ENEMO-ს დამკვირვებლების ინფორმაციის 98% საარჩევნო უბნებისა გაიხსნა კანონით დადგენილ დროს. საარჩევნო უბნების მხოლოდ 1.47% გაიხსნა 15 წუთის დაგვიანებით. ეს ნიშნავს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არჩევნების პირველ ტურთან შედარებით და ზოგადად უკრაინაში აქამდე ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით.

საარჩევნო უბნების გახსნის საერთო შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, უკრაინის წინა არჩევნებთან და წინა ტურთან შედარებით, ამ არჩევნებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უბნების გახსნის პროცედურები და მთლიანობაში საარჩევნო კომისიების მუშაობა. ENEMO-ს დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს 95% იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც ისინი იმყოფებოდნენ უბნების გახსნის დროს.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და მუშაობა

არჩევნებამდე რამოდენიმე დღით ადრე, უმაღლესი რადას მიერ ცვლილებები იქნა შეტანილი საარჩევნო კანონმდებლობაში, რათა თავიდან აეცილებინათ კომისიებისათვის ერთი კანდიდატის მიერ საარჩევნო პროცედურების ჩაშლა. მიხედვად ამისა, ENEMO-ს არჩევნების დღის ანგარიში გვიჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში დანიშნული კომისიის წევრები თავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ კანონის დაცვითა და კოლეგიალურ ატმოსფეროში. ასევე, კომისიის წევრთა მუშაობა შეფასებულ იქნა დადებითად მისიის დამკვირვებლების მიერ, წინა ტურთან შედარებით. თუმცა, დაძაბულობებმა სხვადასხვა კანდიდატის წარმომადგენელ კომისიის წევრებს შორის შეაფერხა #10 საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობა ყირიმში და # 109 საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობა ლუგანსკში, ქვედა დონის საარჩევნო კომისიებისაგან ოქმების მიღების დროს.

ხმის ფარულობა

მსგავსად პირველი ტურისა, ხმის ფარულობის სრულიად უზრუნველყოფა კვლავ გამოწვევად რჩებოდა მეორე ტურის დროს. ENEMO-ს დამკვირვებლებმა დააფიქსირეს არაერთი შემთხვევა, როდესაც საარჩევნო კაბინების გაუმართაობის გამო ვერ იქნა ბოლომდე უზრუნველყოფილი ამომრჩეველთა ხმის ფარულობა, ხმის მიცემის დროს. ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა ლვოვში (#128 საოლქო საარჩევნო კომისია, #229 საუბნო საარჩევნო კომისია), ხმელნიცკში (# 195 საოლქო საარჩევნო კომისია, #124 საუბნო საარჩევნო კომისია), ოდესაში (#141 საოლქო საარჩევნო კომისია, #6 საუბნო საარჩევნო კომისისა), ჟიტომირსა (#65 საოლქო საარჩევნო კომისია, #28 საუბნო საარჩევნო კომისია; #67 საოლქო საარჩევნო კომისია, #107 საუბნო საარჩევნო კომისია) და ხერსონში (#184 საოლქო საარჩევნო კომისია, #11 საუბნო საარჩევნო კომისია). გარდა ამისა, ჩერკასში (#200 საოლქო საარჩევნო კომისია, #156 საუბნო საარჩევნო კომისია) კომისიის წევრები მიუთითებდნენ ამომრჩევლებს განცალკევებულ ყუთებში ხმის მიცემას, მათ მიერ არჩეული კანდიდატის შესაბამისად. კიევსა (#96 საოლქო საარჩევნო კომისია, #34 საოლქო საარჩევნო კომისია) და დონეცკში (#42 საოლქო საარჩევნო კომისია, # 2, 7 და 13 საუბნო საარჩევნო კომისიები) არაუფლებამოსილი პირები ფოტოებს უღებდნენ ამომრჩევლებს ხმის მიცემის პროცესში.

საარჩევნო ბიულეტენების ნაკლებობა

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიებს საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან უნდა მიეღოთ სიებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისი ბიულეტენები, რეზერვის გათვალისწინებით. დამკვირვებლების მონაცემებით, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ბიულეტენების რაოდენობა ნაკლები იყო ამომრჩეველთა

რაოდენობაზე, ამომრჩეველთა სიებში არჩევნების დღეს შეტანილი ცვლილებების შემდეგ. ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა ზაკარპატიაში (#70 საოლქო საარჩევნო კომისია; #36, 37 და 100 საუბნო საარჩევნო კომისიები), ოდესაში (#142 საოლქო საარჩევნო კომისია, #102 საუბნო საარჩევნო კომისია) კიევსა (#222 საოლქო საარჩევნო კომისია, #28 და 53 საუბნო საარჩევნო კომისიები) და ყირიმში (#8 საოლქო საარჩევნო კომისია, #45 და 96 საუბნო საარჩევნო კომისიები).

საარჩევნო პროცედურების დარღვევა

დონეცკში (#55 საოლქო საარჩევნო კომისია, #81 საუბნო საარჩევნო კომისია) ENEMO-ს დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევები. დამკვირვებლებმა ასევე დააფიქსირეს შემთხვევები, როდესაც ხდებოდა ბიულეტენების საარჩევნო უბნის გარეთ გატანა და ამომრჩეველების მხრიდან საკუთარი ბიულეტენების შევსება, რაც შეიძლება მიუთითებდეს ორგანიზებულ ხმების მოსყიდვასა და საარჩევნო კარუსელზე. მიუხედავად იმისა, რომ რთულია ასეთი დარღვევების შესაბამისად დადასტურება, ENEMO-ს ანგარიშების მიხედვით მსგავსი შემთხვევები გავრცელებული იყო ქვეყნის მასშტაბით. ლუგანსკში (#114 საოლქო საარჩევნო კომისია, #4 საუბნო საარჩევნო კომისია) კომისიის წევრი დადანაშაულებულ იქნა ბიულეტენების გაფუჭების მცდელობაში მისი კოლეგების მიერ.

ENEMO-ს დამკვირვებლებმა ასევე დააფიქსირეს შემთხვევები, როდესაც კომისიის წევრები ნაწილობრივ უხვევდნენ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული მოთხოვნებისაგან, მაგალითად ჟიტომირში (#65 საოლქო საარჩევნო კომისია, #28 საუბნო საარჩევნო კომისია), მიკოლიევსა (#130 საოლქო საარჩევნო კომისია, #33 საუბნო საარჩევნო კომისია) და ოდესაში (#137 საოლქო საარჩევნო კომისია, #20 საუბნო საარჩევნო კომისია). ხმელნიცკსა (#192 საოლქო საარჩევნო კომისია, #193 საუბნო საარჩევნო კომისია) და ჟიტომირში (#64 საოლქო საარჩევნო კომისია, #67 და 219 საუბნო საარჩევნო კომისია) კომისიის წევრები ბიულეტენებს აძლევდნენ ამომრჩეველებს, მათი პირადობის მოწმობის ნომრების შემოწმების გარეშე.

არაუფლებამოსილი პირები საარჩევნო უბნებზე

დამკვირვებლებმა კვლავ დააფიქსირეს შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უბნებზე წარმოდგენილნი იყვნენ პირები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ ან პირდაპირ კოორდინირებას უწევდნენ საუბო საარჩევნო კომისიების მუშაობას, ამომრჩეველებსა და დამკვირვებლებს. კერძოდ, ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა ზაკარპატიაში (#72 საოლქო საარჩევნო კომისია, #77 და 111 საუბნო საარჩევნო კომისიები), ხმელნიცკში (#195 საოლქო საარჩევნო კომისია, #30 საუბნო საარჩევნო კომისია), მიკოლაიევსა (#129 საოლქო საარჩევნო

კომისია, #12 საუბნო საარჩევნო კომისია) და დონეცკში (#48 საოლქო საარჩევნო კომისია, # 66 საუბნო საარჩევნო კომისია; # 42 საოლქო საარჩევნო კომისია, #26 საუბნო საარჩევნო კომისია; #41 საოლქო საარჩევნო კომისია, #7 საუბნო საარჩევნო კომისია).

ENEMO ხაზგასმით აცხადებს, რომ მსგავსი ქმედებები შესაფერისად უნდა იქნას დარეგულირებული, რადგან ეს ერთის მხრივ ხელს უშლის კომისიის წევრთა მუშაობას და მეორეს მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

დამკვირვებელთა უფლებების შეზღუდვა

ზოგადად საარჩევნო პროცესები იყო გამჭვირვალე და ENEMO-ს დამკვირვებლებს საშუალება მიეცათ დაკვირვებოდნენ არჩევნების დღის ყველა პროცესს. ENEMO აღნიშნავს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას პირველ ტურთან შედარებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ დამკვირვებლებს შეექმნათ უზნებზე შესვლასა და საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპის მონიტორინგთან დაკავშირებული პრობლემები ჩერნივტსში (#206 საოლქო საარჩევნო კომისია, #13 საუბნო საარჩევნო კომისია), ჩერკასში (#198 საოლქო საარჩევნო კომისია, #52 საუბნო საარჩევნო კომისია), კიევიში (#91 საოლქო საარჩევნო კომისია, #28 საუბნო საარჩევნო კომისია), ოდესაში (#137 საოლქო საარჩევნო კომისია, #93 საუბნო საარჩევნო კომისია), ყირიმში (# 1 საოლქო საარჩევნო კომისია, #18 საუბნო საარჩევნო კომისია), დონეცკში (# 41 საოლქო საარჩევნო კომისია, #7 საუბნო საარჩევნო კომისია), ჟიტომირში (#67 საოლქო საარჩევნო კომისია, #219 საუბნო საარჩევნო კომისია; #65 საოლქო საარჩევნო კომისია, #71 საუბნო საარჩევნო კომისია), ლუგანსკში (#112 საოლქო საარჩევნო კომისია, #9 საუბნო საარჩევნო კომისია), კიროვოგრადასა (#101 საოლქო საარჩევნო კომისია, #6 საუბნო საარჩევნო კომისია) და ხარკოვში (#179 საოლქო საარჩევნო კომისია, #145 საუბნო საარჩევნო კომისია). ამასთანავე, ENEMO კვლავ გამოთქვამს წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ მისიის დამკვირვებლებს არ მიეცათ სრულყოფილი მონიტორინგის განხორციელების საშუალება ყირიმის #10 და ტერნოპილის #169 საარჩევნო ოლქებში.

ხმის მიცემა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიშში, ENEMO-მ არაერთხელ აღნიშნა, რომ არაზუსტი დებულებები გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებით, იწვევდა თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებას ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა მხრიდან. მეორე ტურის დროს, ENEMO-ს დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ სხვადასხვა ოლქებში კომისიის წევრები სხვადასხვაგვარად ცვლიდნენ გადასატანი ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებულ პროცედურებს, დადგენილებების თავიანთი შეხედულებისამებრ. მაშინ როდესაც ლუგანსკში, მიკოლაივსა და ხმელინცკში კომისიის წევრებმა უარი განუცხადეს

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემაზე იმ პირებს, რომლებსაც არ ჰქონდათ სამედიცინო ცნობა, კიევსა და ჩერნიგივში პირიქით, კომისიის წევრებმა ნება დართეს ამომრჩევლებს მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით, ყოველგვარი წერილობითი მოთხოვნის გარეშე. ოდესაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა პირველი ტურის დროს შემოტანილი განაცხადები, გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებით, ჩათვალეს ვალიდურად, მაშინ როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის თავიდან მოთხოვნა, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში. ამასთანავე, გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის მოთხოვნა ერთი და იმავე პირების მხრიდან იწვევდა ეჭვს რიგ ოლქებში, მაგალითად: ლუგანსკი, დონეცკი და ზაკარპატია.

იმის გამო, რომ ამომრჩეველთა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა იქნა დარეგისტრირებული გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემისათვის, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის პროცედურებმა, რაიმე ზეგავლენა იქონიოს არჩევნების საერთო შედეგებზე. მიუხედავად ამისა, ENEMO აფიქსირებს, რომ დაუზუსტებელი დებულებები კვლავ წარმოქმნის კანონმდებლობის არასწორი გამოყენების შესაძლებლობას და მომავალშიც გამოიწვევს შემდგომი უკმაყოფილების საფუძვლებს.

ამომრჩეველთა სიები

ცენტრალიზებულმა ამომრჩეველთა რეგისტრაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამომრჩეველთა სიები უკრაინაში. თუმცა, ამომრჩეველთა სიების განახლების ზუსტი პროცედურების ნაკლებობამ, არჩევნების დღეს გამოიწვია კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების არასწორი შესრულება, საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე. ეს გამოიწვეული იყო კომისიის წევრთა მხრიდან კანონით დადგენილი პროცედურების არასწორი გაგებით. მაშინ როდესაც შეუძლებელია დადგენია იმ ამომრჩეველთა რაოდენობისა, რომლებსაც შეეხო ეს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, ანგარიშების მიხედვით ასეთი ამომრჩევლები ფართოდ იყო გავრცელებული მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგალითად არჩევნების დღეს კიევში, ჩერნივტსიში, ოდესაში, ხარკოვში, დონეცკსა და სუმში ამომრჩევლები დამატებულ იქნენ სიებში საარჩევნო კომისიების უცაბედი გადაწყვეტილებების შედეგად. ოდესაში, ყირიმში, ჩერქასა და ვინიცაში ამომრჩევლები სიებში დამატებულ იქნენ საარჩევნო კომისიის წევრთა და ამომრჩეველთა რეესტრის ოფიციალურ პირთა სატელეფონო საუბრის შემდეგ, ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტაციის გარეშე. ზაკარპატიაში (#70 საოლქო საარჩევნო კომისია, #36 საუბნო საარჩევნო კომისია) კომისიის თავმჯდომარემ შექმნა ახალი ამომრჩეველთა სია, ამომრჩეველთა რეესტრთან შეთანხმების გარეშე, ანუ იმ ორგანოსგან დამოუკიდებლად, რომელიც პასუხისმგებელია ამომრჩეველთა სიის ფორმირებაზე. და მაინც, ამომრჩეველთა სიებში გაკეთებულმა მცირედმა ცვლილებებმა არჩევნების ორ ტურს შორის, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესებას.

ხმის მიცემის პროცესის საერთო შეფასება

ENEMO აღიარებს საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის გაუმჯობესებას მეორე ტურის დროს. ENEMO-ს დამკვირვებელთა 95%-მა დადებითად შეაფასა საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა და ხმის მიცემის პროცედურა მეორე ტურის დროს.

ხმების დათვლა და შედეგების დადგენა

ENEMO-ს მოკლევადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით, რომელიც მოწოდებულ იქნა არჩევნების შემდგომი დღის გამთენიისას, ბიულეტენების დათვლის დროს არავითარ სერიოზულ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხმის დათვლის პროცედურები გაუარესდა, პირველ ტურთან შედარებით. მისიის დამკვირვებელთა 9%-მა უარყოფითად შეაფასა ხმების დათვლის პროცედურები.

მასალების გადატანა საოლქო საარჩევნო კომისიებში და კომისიების მუშაობა

საარჩევნო მასალების საუბნო კომისიებიდან საოლქო კომისიებში გადატანის პროცესი იყო მეორე გაუმჯობესებული საკითხი, არჩევნების მეორე ტურის დროს. მისიის იმ დამკვირვებელთა 95%-მა, რომლებმაც უბნების დახურვის შემდეგ გადაინაცვლეს საოლქო საარჩევნო კომისიებში, ეს პროცესი დადებითად შეაფასეს. თუმცა ყირიმში, #10 საოლქო საარჩევნო კომისიაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ უთანხმოებას ორი პარტიის წარმომადგენელ კომისიის წევრს შორის. შემაჯამებელი ოქმის შედგენის დროს, კომისიის წევრთა მხოლოდ ნახევარმა გააგრძელა მუშაობა. ზაკარპატიაში #70 საოლქო საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა #36 საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გაუქმება, მას შემდეგ რაც მასალები უკვე ოლქში იყო გადატანილი, ამასთან ამ გადაწყვეტილების მიღებას არ დასწრებია საარჩევნო უბნის კომისიის წარმომადგენლები.

დასკვნა და რეკომენდაციები

ENEMO აღიარებს უკრაინის ხელისუფლების ძალისხმევას უკრაინაში საარჩევნო პროცედურების დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. ENEMO თავის შეფასებასა და დასკვნებს წარადგენს 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სრული პროცესის დასრულების შემდეგ. ამასთანავე, იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები და მათი გავლენა საარჩევნო პროცესებზე მომავალში, ENEMO წარადგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა წარმოადგინოს დაზუსტებული და ერთიანი პროცედურები გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებით;
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა წარმოადგინოს დაზუსტებული და ერთიანი პროცედურები არჩევნების დღეს, ამომრჩეველთა სიის განახლებასთან დაკავშირებით;
- საარჩევნო მმართველობის რგოლებმა უნდა შეათანხმონ საარჩევნო პროცედურები და წარადგინონ სტაბილური და წინასწარ განსაზღვრული საკანონმდებლო ჩარჩო დროულად;
- საარჩევნო მმართველობის რგოლებმა მკვეთრად უნდა განსაზღვრონ ადგილობრივი დამკვირვებლების როლი და უფლებები;
- დეტალურად უნდა იქნას გამოძიებული საარჩევნო პროცესში არაუფლებამოსილ პირთა საქმიანობები;
- დეტალურად უნდა იქნას გამოძიებული ხმების მოსყიდვისა და მრავალჯერადი ხმის მიცემის ფაქტები.

ანგარიში დაიწერა ინგისურ ენაზე და წარმოადგენს მხოლოდ ერთადერთ ოფიციალურ ვერსიას

არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელი (ENEMO) წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა კავშირის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 17 სახელმწიფოს 22 სამოქალაქო ორგანიზაციისაგან შემდგარ ჯგუფს. ეს უპარტიო და მიუკერძოებელი ორგანიზაციები წარმოადგენენ წამყვან ადგილობრივ არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციებს თავიანთ ქვეყნებში. საერთო ჯამში, ENEMO-ს წევრ ორგანიზაციებს განხორციელებული აქვთ მონიტორინგი 200 საერთო ერვზულ არჩევნებზე თავიანთ ქვეყნებში, 110-ზე მეტ არჩევნებზე ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ჩატარებული აქვთ ტრენინგები 100 000-ზე მეტი არჩევნების დამკვირვებლისათვის. ნებმისმიერი წინა განცხადება თუ სხვა ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ENEMO-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.enemo.eu.